



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 26  
15/01/2019

ქალაქი ბათუმი

26-05-4-201901151445



**„დაბა მახინჯაურში აღმაშენებლის ქ.№13-ში შ.პ.ს. „მშენებელი 2013“-ის მიერ მშენებლობის ნებართვის საფუძველზე აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 დეკემბრის N1938 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად  
**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. „დაბა მახინჯაურში აღმაშენებლის ქ.№13-ში შ.პ.ს. „მშენებელი 2013“-ის მიერ მშენებლობის ნებართვის საფუძველზე აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 დეკემბრის N1938 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება.

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ექსპლუატაციაში იქნას მიღებული დაბა მახინჯაურში აღმაშენებლის ქ. №13-ში შპს „მშენებელი 2013“-ის მიერ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (მიწის უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი №22.21.06.226) მშენებლობის ნებართვის (მსმ 000294 19.10.2017 წ) და ნებართვის გაცემის შესახებ (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაცემული ბრძანება №1819 19.10.2017 წ) და (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №799 30.04.2018 წ მშენებლობის ნებართვის მსმ 000294 19.10.2017 წ. მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ) საფუძველზე აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საერთო ფართობით 1420,7 მ<sup>2</sup>.“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

